

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

შპს „ახალი სკოლა“

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი სკოლა“ (შემდგომში - „მშობელი საწარმო“) დაფუძნდა 1996 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 202903750. იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N35.

„მშობელი საწარმო“ წარმოადგენს საერთაშორისო სკოლას, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციასთან. შპს „ახალ სკოლას“ აქვს როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი განყოფილება, ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე ბაღის აღსაზრდელებს.

კომპანიის დამფუძნებლები არიან: ირაკლი თოფურია და მარინა ჟღენტი, თითოეული 50%-50%-ის წილის ფლობით.

შპს „ახალი სკოლა“ 100 %-იან წილს ფლობს შპს „საერთაშორისო სახლში“ (ს/კ 404401811, შემდგომში „შვილობილი საწარმო“), რომელიც ინგლისური ენის კურსების სასწავლო ცენტრს წარმოადგენს.

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო (შემდგომში „ჯგუფი“) ორივე ოპერირებს მხოლოდ საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 31 აგვისტომდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეკომენდაციო მითითება, რომელიც 3 კატეგორიის საწარმოთათვის შეღავათს ითვალისწინებს. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია ეწოდება იმ საწარმოს, სადაც მშობელ კომპანიას გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეითება მთლიანად.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(გ) გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

(დ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული მომსახურებისათვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებებისა და დღგ-ს გარეშე. ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში. მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება.

საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავლები აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. შემოსავალი არის საქონლის გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები თანხები უკანდაბრუნებული საქონლის, ფასდათმობისა და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით (მაგ. დამატებული ღირებულების გადასახადი).

(ბ) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები რეალური ღირებულებით აღიარდება მოგება-ზარალში, როდესაც დასაბუთებული რწმუნება არსებობს, რომ კომპანია მიიღებს და შეასრულებს ყველა დაკავშირებულ პირობას. როდესაც გრანტი მიღებულია, მაგრამ კომპანიას ჯერ არ დაუკმაყოფილებია ყველა დაკავშირებული პირობა, ის აღიარდება ვალდებულებად (და აისახება გადავადებულ შემოსავალში, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში) და შემოსავალში გადავა მაშინ, როდესაც ყველა დაკავშირებული პირობა დაკმაყოფილდება. მიღებული სახელმწიფო გრანტები აისახება მოგება-ზარალში, სხვა საოპერაციო შემოსავალში.

(გ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(დ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მშობელი საწარმო სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული

აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
წის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება
იგნები	5-10
აუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება
ნობა-ნაგებობები და სხვა	5-20

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მასალებსა და ნედლეულს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და ნებისმიერ დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს. მარაგის გაუფასურებაზე შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღით. თუ მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ-იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა-ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა, (მაგალითად, მარაგების შეფასება, ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა - კონსოლიდირებული

ფინანსური მდგომარეობა	31.08.2019	31.08.2018	31.08.2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4159239	3712946	3030026
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	364125	5679	1338
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფული	232742	254892	106139
მარაგები	48902	266389	57915
მზა პროდუქცია	0	2289	0
სხვა	48902	264100	57915
სხვა მოკლევადიანი აქტივები	15032	8811	0
სხვა არამატერიალური აქტივები	7225	7335	6716
ძირითადი საშუალებები	4430088	4488654	3266767
სხვა გრძელვადიანი აქტივები	699782	699782	699782
სულ აქტივები	9957135	9444488	7168683
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	14776	36521	30667
ანარიცხები	13535	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1357728	1110243	1923863
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2691916	2218975	0
სხვა ვალდებულებები	955270	637315	734102
სულ ვალდებულებები	5033225	4003054	2688632
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი	795313	795313	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4128597	4614245	4478051
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	31876	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი	4923910	5441434	4480051
სულ საკუთარი კაპიტალი	4923910	5441434	4480051
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9957135	9444488	7168683

გ. ქიქოძე

/მ. ქლენტი/


შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

მოგება/ზარალი - კონსოლიდირებული

საქმიანობის შედეგები	31.08.2019	31.08.2018
ნეტო ამონაგები	9974565	9546005
საქონლის გაყიდვიდან	794901	269724
მომსახურების გაწევიდან	9037025	8497799
სხვა	142639	778482
გაყიდვების თვითღირებულება	-383246	-250399
საერთო მოგება	9591319	9295606
სხვა საოპერაციო შემოსავალი	83085	92835
დასაქმებულთა ანაზღაურება	-6157783	-6364531
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-285822	-287929
საპროცენტო შემოსავალი	170769	116191
საპროცენტო ხარჯი	-3831	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1274565	-1623277
სულ საოპერაციო ხარჯები	-7468147	-8066711
საოპერაციო მოგება	2123172	1228895
მიღებული დივიდენდები	95000	75000
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-51816	-97938
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	2166356	1205957
მოგების გადასახადის ხარჯი	-389638	-74698
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1776718	1131259
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5441434	4480051
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2484622	-539578
კაპიტალის სხვა ცვლილებები	190380	369702
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4923910	5441434



/მ. ჯელენტი/

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31.08.2019	31.08.2018	31.08.2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4159239	3712946	3030026
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	364125	5679	1338
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	232742	254892	106139
მარაგები	48902	266389	57915
მზა პროდუქცია	0	2289	0
სხვა	48902	264100	57915
სხვა მოკლევადიანი აქტივები	15032	8811	0
სხვა არამატერიალური აქტივები	7225	7335	6716
ძირითადი საშუალებები	4430088	4488654	3266767
სხვა გრძელვადიანი აქტივები	699782	699782	699782
სულ აქტივები	9957135	9444488	7168683
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	14776	36521	30667
ანარიცხები	13535	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1357728	1110243	1923863
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2691916	2218975	0
სხვა ვალდებულებები	955270	637315	734102
სულ ვალდებულებები	5033225	4003054	2688632
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი	795313	795313	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4128597	4614245	4478051
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	31876	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	4923910	5441434	4480051
სულ საკუთარი კაპიტალი	4923910	5441434	4480051
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9957135	9444488	7168683

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

მოგება/ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31.08.2019	31.08.2018
ნეტო ამონაგები	9974565	9546005
საქონლის გაყიდვიდან	794901	269724
მომსახურების გაწევიდან	9037025	8497799
სხვა	142639	778482
გაყიდვების თვითღირებულება	-383246	-250399
საერთო მოგება	9591319	9295606
სხვა საოპერაციო შემოსავალი	83085	92835
დასაქმებულთა ანაზღაურება	-6157783	-6364531
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-285822	-287929
საპროცენტო შემოსავალი	170769	116191
საპროცენტო ხარჯი	-3831	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1274565	-1623277
სულ საოპერაციო ხარჯები	-7468147	-8066711
საოპერაციო მოგება	2123172	1228895
მიღებული დივიდენდები	95000	75000
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-51816	-97938
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	2166356	1205957
მოგების გადასახადის ხარჯი	-389638	-74698
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1776718	1131259
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5441434	4480051
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2484622	-539578
კაპიტალის სხვა ცვლილებები	190380	369702
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4923910	5441434

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები თითქმის სრულად შედგება საბანკო ანგარიშზე პერიოდის ბოლოს არსებული ფულადი ნაშთისაგან, ეს არის ნაშთი მიმდინარე ანგარიშზე და ნაშთი სადეპოზიტო ანგარიშზე რაც 4159239 ლარს შეადგენს;
მ.შ. ნაღდი ფულის სახით სალაროში აღრიცხულია ნაშთი 1478,25 ლარის ოდენობით.

სავაჭრო მოთხოვნები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღიარებული დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მოსწავლეთა წინაშე დარიცხული ვალდებულებებისაგან

გადახდილი ავანსები, დარიცხული მისაღები შემოსავალი, სხვა მისაღები თანხები

მოიცავს წინასწარ გადახდილ თანხებს მომწოდებლებზე, ასევე წინასწარ დაფარულ ვალდებულებებს.

მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები თითქმის სრულად შედგება სასწავლო წიგნებისაგან და საანგარიშო პერიოდის ბოლოს

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს უძრავი ქონება და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი; კერძოდ კი ეს არის სკოლისა და შვილობილი საწარმოს შენობა დამხმარე ნაგებობებთან ერთად.

ჯგუფს ასევე გააჩნია სასწავლო ინვენტარი, სპეციალიზებული სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვილობა, ტექნიკური მოწყობილობები, საოფისე ინვენტარი, ავეჯი და ტექნიკა.

არამატერიალური აქტივის სახით აღრიცხულია სპეციალური ლიცენზირებული ელექტრონული პროგრამები.

ვალდებულებები

ჯგუფის გრძელვადიან ვალდებულებას წარმოადგენს საბანკო კრედიტი.

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

ძირითადი შემოსავალი მიიღება: მშობელი საწარმოს საგანმანათლებლო და საამღვრდელი საქმიანობიდან, შვილობილი საწარმოს ინგლისური ენის სასწავლო კურსებსაგან.

შემოსავლის გარკვეული ნაწილი მიიღება ასევე სასწავლო წიგნების რეალიზაციით.

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

იგი მოიცავს სკოლისა და შვილობილი საწარმოს მიღებულ შემოსავალს იჯარებიდან, სკოლის ბაღეტის, ცეკვის, კარატეს წრეებისაგან და შემოსავალს სასაწავლო პროცესის ორგანიზებისათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებისაგან.

შპს „ახალი სკოლა“ და მისი შვილობილი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ფინანსური შემოსავალი

წმინდა ფინანსური შემოსავლის სახით მიღებულია დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, რომელიც ერიცხება ბანკში არსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტსა და ვადიან დეპოზიტს.

მშობელ საწარმოს გახსნილი აქვს მოთხოვნამდე დეპოზიტი და ვადიანი დეპოზიტი 8-9.5 %-ად სს „პროკრედიტ ბანკში“. შვილობილ საწარმოს შემნახველი ანაზრები გახსნილი აქვს სს „საქართველოს ბანკში“ ლარსა და დოლარში 8-9%-ში.

ხარჯები

ჯგუფის მიერ გაწეული ხარჯების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს პერსონალის შრომის ანაზღაურება, ბალანსზე არსებული უძრავი ქონების მოვლა-შენახვა;

ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები;

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

მშობელი საწარმოს შვილობილ საწარმოსთან აკავშირებს ძირითადად სასწავლო წიგნების მიწოდება/რეალიზაცია